

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ყოფილმა ელჩმა საქართველოში, ქალბატონმა პატრიცია ფლორმა, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს მადლობის წერილი გამოუგზავნა.

2010 წლის მარტში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ელჩმა საქართველოში, დოქტორმა პატრიცია ფლორმა ჩვენს ქვეყანაში ელჩის თანამდებობაზე დიპლომატიური მოღვაწეობა დაასრულა და ამჟამად მოღვაწეობას გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროში აგრძელებს.

განვლილი ოთხი წლის მანძილზე გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საელჩოსა და სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის მეგობრული და საქმიანი დამოკიდებულება ჩამოყალიბდა.

საქართველოდან გამგზავრების წინ დოქტორმა პატრიცია ფლორმა სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს, პროფესორ ჯონი აფაქიძეს გულთბილი წერილი გამოუგზავნა. წერილში ქალბატონი ფლორი მადლობას უხდის რექტორს მხარდაჭერისა და თანამშრომლობისათვის და იმედს გამოთქვამს, რომ გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროსა და სოხუმის უნივერსიტეტს შორის არსებული მეგობრული დამოკიდებულება მომავალშიც შენარჩუნდება.